Bayerisches Staatsministerium für Wirtschaft und Medien, Energie und Technologie

BAYERN INTERNATIONAL
Competence for International Business

Bayern - Fit for Partnership

ახალი ბაზრების ათვისება & ექსპორტის განვითარება

25. – 30.09.2016

საქართველო და სომხეთი: ხილის, ბოსტნეულისა და თხილეულის გადამუშავება

საქართველოსა და სომხეთის კვების მრეწველობის სექტორის მაღალი რანგის წარმომადგენლების ვიზიტი ბავარიაში

მიზნობრივი ჯგუფი საქართველოში

პროექტის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში/სომხეთში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი კომპანიები, ასევე, მომსახურებისა და კვების მრეწველობის ტექნოლოგიების მიმწოდებლები, რომელთაც სურთ ბიზნეს-საქმიანობის გაფართოება და ინვესტიციების განხორციელება ახალ ტექნოლოგიებში.
აღნიშნული პროექტისათვის რელევანტურია შემდეგი ქვესექტორები:

1. მოსავლის მოყვანისა და აღების ტექნოლოგიები
2. ჩამოსასხმელი და შესაფუთი ტექნოლოგიები
3. გადამუშავება და პროცესის კონტროლი
4. შენახვა, სამაცივრე დასაწყობება, ლოგისტიკა და ტრანსპორტირება
5. საკონტროლო, სამართავი და საზომი ტექნიკა
6. ორგანიზება და მარკეტინგული კომუნიკაციები
7. ევროკავშირის რეგულაციები, სერტიფიცირება, გარემოს დაცვისა და ხარისხის მართვის სისტემა

პროგრამა

სარგებელი და საჭიროება თქვენი კომპანიისათვის

„Bayern – Fit for Partnership“ (BFP) წარმოადგენს ახალი ბაზრების ათვისების საერთაშორისო პროგრამას, რომელიც ფინანსდება ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს მიერ და ხორციელდება მისი შვილობილი ორგანიზაციის, Bayern International-ის მიერ.

BFP ორიენტირებულია ბავარიის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ბაზარზე შესვლის გამარტივებისა და საექსპორტო შემოსავლის გაზრდის მიზნით. ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ამ დრომდე აუთვისებელი საექსპორტო პოტენციალის გამოყენება.

- **ბიზნეს პოტენციალის** შეფასების შემდეგ ჩვენ ვიწვევთ საქართველოდან /სომხეთიდან მაღალი რანგის წარმომადგენლებს ბავარიაში
- ისინი დაამყარებენ **პირად კონტაქტებს** საერთაშორისო პარტნიორებთან ბავარიაში
- მათ შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელიც იქნება **პრაქტიკული და ინტერესებზე მორგებული**
- ჩვენ გთავაზობთ მიზანმიმართულ **შუამდგომლობას** სასურველ კომპანიებთან წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით

დელეგაციის ვიზიტის მიზანი

დაგეგმილი პროექტის ფარგლებში კომპანიის/წარმოების მფლობელები და მენეჯერები (სულ 15 მონაწილე) მიიღებენ სასარგებლო ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო სექტორის მწარმოებელი და გადამამუშავებელი ქარხნებისაგან თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მომსახურებების შესახებ. ძირითადი საკითხები შეეხება მოსავლის მოყვანასა და აღებას, ჩამოსასხმელ და შესაფუთ ტექნოლოგიებს, ასევე, გადამუშავებასა და პროცესის კონტროლს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოდან და სომხეთიდან ისეთი კომპანიების მოწვევა, რომელთაც აქვთ **კონკრეტული ბიზნეს დაინტერესება,** ახალი ტექნოლოგიების გაცნობის და ინვესტიციების განხორციელების სურვილი.

დელეგაციის ვიზიტის განრიგი
(25.-30.09.2016)

მოსალოდნელია 15 საწარმოს წარმომადგენელთა მონაწილეობა ხილის, ბოსტნეულისა და თხილეულის წარმოებისა და გადამუშავების სფეროდან.
პროგრამა ძირითადად ფინანსდება ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ქართულ და სომხურ მხარეს მოუწევს მხოლოდ შემდეგი ხარჯების გაწევა:

- **ფრენის ხარჯები** - თბილისი-მიუნხენი-თბილისი
- 20 ევრო ვიზიტის თითოეული დღისთვის, ჯამურად **100 ევრო** 5 დღიანი ვიზიტისთვის. თანხის გადახდა ხდება განაცხადის შემოტანისთანავე
- სხვა დანარჩენი ხარჯები: შიდა გადაადგილება, სემინარში მონაწილეობა, სასტუმრო, თარჯიმანი და კვება დაფარული იქნება პროექტის ბიუჯეტიდან ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს მიერ

დელეგაციის ფარგლებში გადაადგილება მოხდება ავტობუსის საშუალებით em&s-ს პროექტის ხელმძღვანელის, საქართველოდან და სომხეთიდან DWV - ს პროექტის ხელმძღვანელებისა და თარჯიმანის თანხლებით.
ღონისძიების ოფიციალურ ნაწილს დაესწრებიან ბავარიის ეკონომიკის სამისტროსა და Bayern International-ის წარმომადგენლები

პროგრამა

კვირა, 25.09.2016	გამგზავრება, ჩასვლა მიუნხენის აეროპორტში ბრიფინგი და პროგრამის წარდგენა
ორშაბათი, 26.09.2016	მისალმება Bayern International-ის მიერ კომპანიის მონახულება სამხრეთ ბავარიაში გამგზავრება ნიურნბერგში
სამშაბათი, 27.09.2016	საინფორმაციო ღონისძიება და პრეზენტაცია სხვადასხვა ბავარიულ კომპანიებთან ერთად ნიურნბერგში ბავარიული დაწესებულებებისა და კომპანიების მოხსენებები
ოთხშაბათი, 28.09.2016	FachPack 2016 (შესაფუთი საშუალებები და ტექნოლოგიები) გამოფენის სტუმრობა ნიურნბერგში შეხვედრა გამოფენის მონაწილეებთან
ხუთშაბათი, 29.09.2016	კომპანიებისა და საწარმოების მონახულება დელეგაციის მონაწილეთა მოთხოვნების გათვალისწინებით
პარასკევი, 30.09.2016	კომპანიების მონახულება დელეგაციის მონაწილეთა მოთხოვნების გათვალისწინებით დასკვნითი ღონისძიება ბავარიის ეკონომიკის სამინისტროსა და Bayern International-თან ერთად გამგზავრება მიუნხენის აეროპორტიდან

მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ შეავსოთ თანდართული აპლიკაციის ფორმა